

№ 43 (6604)

1980 წ. მარტი, 330 რა. ზანი 8 კაპ.

საპარტეზოლოს სსრ მინისტრთა საბაოოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბაოოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან



მსოფლიო პირველობის პრემიანდამტა მითხმეფინალური მარტი

6. გავრინდავნილი — 6. გურიელი

ფიზკულტურა სსრ კავშირის თასი

„დინამო“ (თბილისი) — „ქაირატი“ (ალგა-ათა) 2:1 (2:0)

ამ მატჩში დინამოელებს ძლიერი მეტოქე ჰყავდათ და შეხვედრაც, განსაკუთრებით პირველი ტაიმი, უფრო სინტერესო გამოდგა. თამაში სწრაფ ტემპში დაიწყო. თბილისელები ბევრს უტყვენდნენ კამე-9 წუთზე ჭილაია-ყიფიანის კომბინაცია ამ უკანასკნელის ზუსტი დარტყმით და გოლდთ დასრულდა — 1:0.



დინამოელები კვლავ აგრძელებდნენ იერიშებს. 23-ე წუთზე დარტყმის გადაცემის შემდეგ ჩელბაძემ კიდევ ერთი გოლი გაიტანა სტუმართა კარში — 2:0.

ასკ (ოდეზა) — „ტორპედო“ (ქუთაისი) 2:1 (0:0)

მატჩის მსვლელობით ძნელი წარმოსადგენი იყო, რომ ტორპედოელებს წაგება მოელოდათ. მართალია, პირველ წუთებზე მათი იერიშები ნაკლებად ეფექტური იყო იმის გამო, რომ წინა ხაზის მოთამაშეები აშკარად პასიურობდნენ და იშვიათად ებმოდნენ ბრძოლაში, მაგრამ დარჩენილი რგოლები შემდეგ დაგვირგაძე კვირბრუნებით თვდამსხმელთა ინერტულობის კომპენსირებას.

პირველი რეალური შესაძლებლობა მიეცა ოდესელ გიმროს, მან კი სულ რამდენიმე მეტრის მანძილიდან ძელს გადაიკლვა ბურთი. შემდეგ ასეთივე უზუსტობა გამოიჩინა ბურკაძემ.

შეხვედრის შემდეგ ტორპედოელებმა, თითქმის, გამტაცობის თამაში, მაგრამ სწორედ ამ პერიოდში იმარჯვეს არმიელებმა. პირველი გოლი შესხვედრის შემდეგ იერიშებმა გაიტანა მოლოდინული დარტყმით, შემდეგ ტორპედოელები ხანგრძლივ მეტრებზე გადავიდნენ და ბურკაძემ ზუსტად გაგზავნა ბურთი მეკარისგან შორეულ კუთხეში — 1:1.

მიმდინარეობდა მატჩის ბოლო წუთები, როცა ქუთაისელი ფეხბურთელები ხანგრძლივ მეტრებზე იმყოფებოდნენ, ოდესელები რამდენიმე აშკარა ხიფათს გადაურჩნენ, მერე კი ერთ-ერთი საპასუხო კონტრშეტევა ზუსტი დარტყმით დაამთავრა კორიუკოვა — 2:1.

ქუთაისის „ტორპედო“ ასეთი შემადგენლობით ითამაშა: მჭედლიძე, შელია, გოგოლაძე, მერეჩკო, ზ. სვანაძე, ოქროპირაშვილი, ბურკაძე, ჭვირია (გორგოპი), ფისტვენიძე, ებანიძე, კვერცხაძე. რ. შორიძე.

„სპარტაკი“ (ორჯონიკიძე) — ასკ (საბაროვსკი) 0:0

ამ მატჩის შესახებ შეიძლება ითქვას, რომ დაცვით ხაზები აშკარად ჯობდნენ მეტოქეს. თამაში მიმდინარეობდა დაბალ ტემპში, თუმცა სპარტაკელთა უპირატესობა მაინც შესამჩნევია იყო. შესხვედრის შემდეგ ხაბაროვსკელებმა მოუმატეს ტემპს. იყო მომენტები, როცა მათ ფორვარდს კოზლოვს შეეძლო ანგარიშის გახსნა, მაგრამ მისი დარტყმა აცდნა მიზანს. 0:0.

რ. ბაბრინიძე, (ჩვენი სპეც. კორ.).



პირველი კარტია დღეს გაიმართება

გაშინე თბილისის ქაღრაკის სასახლეში საზვიმოდ გაიხსნა ქალთა შორის მსოფლიო პირველობის პრეტინდენტთა მეოთხედფინალური მატჩი ნ. გაფრინდაშვილსა და ნ. გურეილს (ორივე — სსრ კავშირი) შორის.

შესავალი სიტყვით გამოვიდა მატჩის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარე, საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს უფროსი რეფერენტი ი. საყვარელიძე.

ტა სახელით — უნივერსიტეტის სტუდენტი ე. ბოჭორიშვილი.

საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ მეოთხედფინალური მატჩი გახსნილად გამოაცხადა. გაიხსნა სსრ კავშირის ცენტრალური საქაღრაკო კლუბის დირექტორი ე. პატურინსკი (მოსკოვი).

წყალკულტურა სსრ კავშირის ჩემპიონატი

„დინამო“ (თბილისი) — ცსკა ვმფ 5:6. „დინამო“: მ. გორგაძე, კურტანიძე, ზუმბულიძე, ხეცურიანი, რურუა, ისელიძე, დლოძიძე. მათ გარდა თამაშობდნენ — გვახარია, არუთიუნოვი, კოლაშვილი და კუტივაძე.

თამაშის დამთავრების შემდეგ მათ შორის წყალბურთის სპეციალისტებიც უკმაყოფილონი იყვნენ ვ. ვეშელიანის მსაჯობით. მატჩის მსვლელობისას ტრიბუნაზე სსრ კავშირის წყალბურთელთა ნაკრების უფროსი მწვრტნელის — ბ. პობოვის მორიახლოს ვიქეტი და ვეშელიანის რამდენიმე აშკარა შეცდომის გამო გაოცებულმა ხელები გაშალა და უკმაყოფილოდ გაიქინა თავი.

ჯერმე კი, როცა კურტანიძე მეტრის კარში ბურთის სატყორცნელად შეიმართა და მოწინააღმდეგის მცველებმა მის მიმართ უხეშად ითამაშეს, არბიტრის სასტენი გაიხსნა. ოდეს, ის სასტენი... მეზღვაურთა წისქვილზე ასხამდა წყალს, ვინაიდან კურტანიძეს, მოუხედავად მოწინააღმდეგის აკრძალული ილეთისა, მინც შეეძლო თავის გამოჩენა.

მდგომარეობა უნდა გამოასწორონ

აქვე უთუოდ უნდა გაიხსენოთ III პერიოდი, როცა კურტივაძეს მეტოქის კარზე იერიში მიჰქონდა. მოწინააღმდეგეთა მცველი აშკარად აკრძალული ილეთით ცდილობდა მის შეჩერებას. მიუხედავად ამისა, მსაჯის სასტენი უნდა ითქვას, რომ მცველი უნდა იქნებოდა, რომ მცველის მიერ თითქმის ჩაძირულმა, მაინც შეეძლო ბურთის ბაღეში გაგზავნა და წინასწარობის აღდგენა (4:4).

ტყორცნა რომ არა, ვინ იცის როგორ დამთავრდებოდა ეს თამაში. ცსკ ვმფ კი ის გუნდი არ გახლავთ, რომ მეტოქეს ბეგრი შეცდომა ააბატოს. რა თქმა უნდა, ჩვენ შორის ვართ იმ აზრისაგან, ნებისმიერ გუნდს უშეცდომოდ თამაში მოეხერხებოდა, მაგრამ შეცდომაც არის და შეცდომაც. შეცდომით, III პერიოდის დასაწყისში, როცა მოწინააღმდეგეები

ბურთის ხელში ჩასაგდებად დაიძრნენ, კურტივაძემ დაასწორო მეტოქეს, თანაგუნდელთაგან კი დროზე აღარავინ წამოეშველა და ბურთი დაკარგა, რაც ლამის გოლის ფასად დაგვიჯდა. მერე იყო და მეტოქის კართან ზუმბულიძემ პირდაპირი ხელში მიმდევარე „ბურთი ბოწინადა“ მდგომარეობა არმიელებმა ეს საჩუქარი კარგად გამოიყენეს და დაწინაურდნენ (4:3).

თბილისელთა მარცხი მით უფრო დასანანი, რომ მეოთხე პერიოდში ისინი წინ იყვნენ — 5:4, მაგრამ შემდგომ მეზღვაურთა 2 ბურთს ვეღარაფრით უპასუხეს. არადა, მატჩის ხსნა შეიძლებოდა — როცა თამაშის დამთავრებამ-

დღე 35 წამი რჩებოდა, თბილისელებს რიცხობრივი უპირატესობა ჰქონდათ, მაგრამ კარის აღება ვერ მოახერხეს.

სხვათა შორის, თამაშის დამთავრებამდე, პობოვმა აღნიშნა, რომ თბილისელები ამ მატჩში ბევრად უკეთ თამაშობდნენ, ვიდრე მოსკოვის „უნივერსიტეტთან“ შეხვედრაში.


აქ იყო თუ ისე, თბილისელებმა საკუთარ აუზში გამართული შეხვედრებიდან მხოლოდ ქულის მარცხით არა თუ მედლებისთვის ბრძოლის შანსი, არამედ ექვს საუკეთესო გუნდს შორის მოხვედრის ბედიც სასწორზე შეაგდეს. ახლა ისინი 8 ქულით VI ადგილზე არიან. უფრო ნათელი რომ გახდეს გუნდების დღევანდელი მდგომარეობა, სატურნირო ცხრილს გადავხედოთ: კვფ — 13 ქულა, „დინამო“ (მოსკოვი) — 12, სსრ ცსკ და „დინამო“ (ალმა-ათა) — 11-11, „უნივერსიტეტი“ — 9, „დინამო“ (თბილისი) — 8, „დინამო“ (კიევი) და ფისკ — 7-7, „მოსკოვი“ — 6, „დინამო“ (ლეოვი) — 5, „მეხნატი“ — 4, „სპარტაკი“ — 1.

ა. ბარსაშვილი.

ფიზკულტურა



მელხედა მოსკოვის XXII
ოლიმპიურ თამაშებს
ფოტოკონკურსი
„ბალინის ავრები“




პენტი პაშინსკი (ფინეთი). „ზღვა“



ვიტორიო რონცონი (იტალია). „ნომადის ცხვირი“



მიროსლავ ვლოდკოვსკი (პოლონეთი). „გადაადგილ ფოტო“



ვლადიმერ სმირნოვი (ლენინგრადი). „ინციდენტი“

ოლიმპიად-80-ის კულტურულ პროგრამაში შედის მხატვრული ფოტოგრაფიის საერთაშორისო საკონკურსო გამოფენა „ტალხანა პურიედი“ (ტალხანის აფრები). ამ დღეებით კონკურსი ორი წელია გრძელდება. უკვე ახლოსაა საკონკურსო მარათონის ფინიში, მარტის შუა რიცხვებში ესტონეთის დედაქალაქში შეიკრიბება ქუთური, რომელიც გამოავლენს გამარჯვებულს — იმას, ვისაც გადაეცემა აფროსანთა ოლიმპიურ რეგატაში რეპორტიორის ბილეთი, ცნობილი გახდება პრიზიტორების, მედლების მფლობელთა სახელები. გავიგებთ „ფოტოგრაფია ოლიმპიური გუნდის“ თავისებურ სიას — მათ, ვისი ნამუშევრებიც წარმოდგენილი იქნება საბოლოო გამოფენაზე რეგატის დღეებში.

ნეთის, ჩეხოსლოვაკიის, მაროკოსა და სხვა ბევრი ქვეყნის ავტორები და, რა თქმა უნდა, სსრკ-ში მრავალსაზღვრის რესპუბლიკის წარმომადგენლები. ფოტოკონკურსები და პროფესიონალები თავისებურად მივსალმებთან ოლიმპიადას — უძღვნიან რჩეულ, საყვარელ ნაწარმოებებს.

3. ზაპოროჟჩანო, საქავშირო ფოტოგრაფიული კომისიის ბიუროს წევრი.

გთავაზობთ კონკურსზე წარმოდგენილ ფოტოებს:

„დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს VII პლენუმი

ამ დღეებში ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონის ოსტატთა კლუბში გაიმართა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს VI პლენუმი. მოხსენებით „1979 წელს „დინამოს“ საქართველოს ორგანიზაციის მიერ გაწეული მუშაობისა და 1980 წლის ამოცანების შესახებ“ გამოვიდა „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. ოდიშვილი.

ამასთან ერთად, პლენუმზე აღინიშნა, რომ ორგანიზაციის საქმიანობაში ჯერ კიდევ გვხვდება ნაკლოვანებანი. საქავშირო შეჯიბრებებში არაღამაყაფიილელო შედეგები აჩვენეს შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის ნაყრებმა გუნდებმა. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამხედრო-გამოყენებითი სახეობების ნაყრებ გუნდებში სისტემატური სასწავლო-საწვრთნელი პროცესი არ ტარდება.

სსრკ კავშირის ხალხთა VII სპარტაქიადზე არაღამაყაფიილელოდ გამოვიდნენ სპორტსაზოგადოების მძღვეთის, კალთბურთელები, ტყვიის მსროლელები, ძიუდოსტები, თავისუფალი სტილის მოჭიდვეები, ნიჩბოსნები (ზაიდარა და კანოე), რაც შემთხვევითი არაა და რესპუბლიკური, საოლქო საბჭოების, აგრეთვე ამ სახეობების უფროს მწვრთნელთა მხრიდან კონტროლის შესუსტებაზე, მდგომარეობის არასწორ შეფასებაზე მიუთითებს.

სპარტაქიადზე სუსტად გამოვიდა ქვეყნის ოლიმპიური გუნდის რამდენიმე კანდიდატი. საზოგადოების ბევრი სპორტსმენი ვერ ასრულებს მზადების ინდივიდუალურ გეგმას, დაბალია ახალგაზრდა სპორტსმენების ოსტატობის ზრდის ტემპები. ამიტომ, რომ გეგმით გათვალისწინებული 9 სავრთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ნაცვალ მომზადებულია 8.

მეტი ყურადღება უნდა მიექცეს სპორტული ბაზების ქსელის გაფართოებისა და მათი კეთილმოწყობის საქმეს. სპორტული ნაგებობების მესვეურებმა დროულად უნდა მიიღონ ზომები აუცილებელი ინვენტარ-აღჭურვილობის შესაძენად, თვალსაჩინო პროპაგანდის გასაუმჯობესებლად.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულეებმა ილაპარაკეს მუშაობაში არსებულ სხვა ნაკლოვანებებზეც და წამოაყენეს კონკრეტული წინადადებანი მათ გამოასწორებლად.

პლენუმმა მიიღო სათანადო დადგენილება და დასაბა 1980 წლის ამოცანები.

პლენუმის მუშაობა შეჯამდა სპორტსაზოგადოება „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ, საქართველოს სსრ შინაგან საქმეთა მინისტრმა გ. გვიტაძემ.

იოსებულს
კაბულურ
საკითხებზე

ტარეს ფიზიკური კულტურისა და სპორტის მასობრივად დაწერგეიათვის, მაღალი კლასის სპორტმენების მომზადებისთვის. შესრულებულია ფიზიკური კულტურისა და სპორტის განვითარების წლიური გეგმისა და სოციალისტური ვალდებულების ძირითადი მაჩვენებლები, შესამჩნევად გაიზარდა ფიზიკულტურულთა და მშთ კომპლექსის ნიშნისათარი ცხვი, მეტი ყურადღება მიექცა სპორტის გამოყენებითი სახეობების დაწერგვას.

„დინამოს“ რესპუბლიკურ საბჭოს ორგანიზაციებში კულტივირებულია 15 საზაფხულო და ზამთრის სპორტის 2 სახეობა. საქართველოს სსრ VII სპარტაქიადში დინამოელმა სპორტსმენებმა ოქროს 98, ვერცხლის 66 და ბრინჯაოს 71 მედალი მოიპოვეს. სპორტსაზოგადოების 4 წარმომადგენელი სსრ კავშირის ხალხთა VII სპარტაქიადის ჩემპიონი გახდა. სპარტაქიადზე დინამოელი სპორტსმენები კარვად გამოვიდნენ თანამედროვე ხუთქილში, ფეხბურთში, წყალბურთში, ველოსპორტში, ჩოგბურთში, კლასიკურ ტილაობაში. აღანიშნავია, რომ „დინამოს“ რესპუბლიკური საბჭოს 9 სპორტსმენს რეალური შესაძლებლობა აქვს მიხვედნ ჩენი ქვეყნის ოლიმპიურ ნაკრებში.

ფიზიკულტურა ჩვენს ყოფაში
რაიონში სპარტაქიადი

სკოლებში ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის გაუმჯობესების მიზნით ბოლო ხანებში ბევრი ღონისძიება განხორციელდა, რამაც გარკვეული პრაქტიკული გამოხატულება პპოვა — დაინერგა მოძრავი თამაშები დიდ დასვენებაზე, საშინაო დაგდება ფიზიკულტურაში, სპორტული შეჯიბრებები მოსწავლეებისა და მათი ოჯახის წევრების მონაწილეობით და ა. შ.

სასწავლო ფიზიკულტურის თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად გარდაქმნა მხოლოდ ფიზიკულტურის მასწავლებელთა საქმე რიდა. ბევრგან მათ მხარში უდგანან სკოლის დირექტორები, პედაგოგური კოლექტივი, მშობელთა აქტივი. საერთო საქმისადმი კოლექტიურ ზრუნვას შედეგიც სასურველი მოაქვს. ამში ერთბეშ კიდევ დაერწმუნით, როცა მცხეთის რაიონის სოფელ ძაღისის საშუალო სკოლას გეყვით.

აქტივის მხარდაჭერით სკოლაში უნარიანდ იყენებენ მოსწავლეთა შორის ფიზიკულტურულ-სპორტული მუშაობის ყველა შესაძლებლობას. კეთილმოწყობილ ბაზებზე გაკვიილუბის შემდგომც ხშირად ნახავთ მოზარდებს.

პარკის ბილიკებით



პარკის ბილიკების რაიონის ოლიმპიური კომპლექსის რაიონმა და ფიზიკულტურის კომიტეტმა კივიის სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში ჩატარა მასობრივი მძლეონური კროსი გაზეთ „პარკის“ პრიზზე (მეორე ეტაპი). მონაწილეობდნენ საწარმოთა ფიზიკულტურის კოლექტივების, სპორტკლუბების, ტექნიკუმების, პროფტექსასწავლებლების, საშუალო სკოლების გუნდები. სულ სტარტზე ათასამდე მონაწილე გამოვიდა. პარკი რამში იყო 1, 1,5, 2, 3, 5, და 8 კმ-ზე რბენა.

სტარტზე — მოზარდები

ჩატარდა დედაქალაქის კიროვის რაიონის მოსწავლეთა პირველობა მძლეონური კროსში. 12 სკოლის ნაკრები გუნდების 300-მდე მოზარდი ორ ასაკობრივ ჯგუფდ ასპარეზობდა — გოგონები 1000 მეტრზე, ხოლო ბიჭები 1500 მეტრზე დარბობნენ.

